ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №203/16

ქ. თბილისი 10 ნოემბერი 2016 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო,"** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ლაშა მოისწრაფიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # ~~204911337, ტელ. 2752352, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900~~

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შ.პ.ს "ლ.მ.ც გრუპი",** წარმოდგენილი მისი დირექტორის მაკა სტეფნიაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, გლდანი I მ.რ კორპ#16 ბ#155; ს/კ:400085689, სს "თი ბი სი ბანკი", ~~კოდი# TBCBGE22, ა/ა # GE18TB7537336050100002~~

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **სააგენტოს ცენტრალურ აპარატში დაზიანებული სველი წერტილის აღდგენისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების (CPV45232460 - საკანალიზაციო სამუშაოები)** (შემდგომში ,,სამუშაო") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე (თანხმობა #SMP160002855).

1.2 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ცენტრალური აპარატის საჭიროებისათვის.

1.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **596,85** (ხუთასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 85 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით,.სახელშეკრულებო თანხა მოიცავს ტრანსპორტირების, სამშენებლო ნარჩენებისა და მასალებისაგან სამშენებლო ობიექტის განთავისუფლებისა და დასუფთავების ხარჯებსაც.

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ფასი

2.1 სამუშაოების ჩამონათვალი, გამოსაყენებელი მასალის რაოდენობა, ერთეულის ფასები და საერთო ღირებულება გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №1 – შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ხარჯთაღრიცხვა).

2.2 სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა კანონებისა თუ ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული პირობების განუხრელი დაცვით.

3. სამუშოს გაწევის პირობები

3.1 სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 2016 წლის 11 ნოემბრისა.

3.2 სამუშაოების შესრულების ადგილია: ქ.თბილისი გ.გულუას #6.

3.3 შესრულებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. სამუშაოების შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შესაბამისი შემოწმების შემდეგ შესრულებული სამუშაოს ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს სააგენტოს შტატგარეშე კონსულტანტი გივი კვარაცხელია.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებს (ჩამონათვალი, მოცულობა, ღირებულება) საკუთარი ძალებით ჩაუტარებს ინსპექტირებას შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების დადგენის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა კანონებისა თუ ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხოლო ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე განხორციელდება შესაბამის სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მხარეებს შორის დგება სამუშაოთა მიღება ჩაბარების აქტი, ხოლო თუ, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ან სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოვლინდება, რომ სამუშაო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს იგი.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

5.4 იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს შესრულებულ სამუშაოებს, ხოლო თუ, სამუშაოების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ გაწეული სამუშაო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.5 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, მხარეთაშორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის სავალდებულოა შესრულებული სამუშაოების საბოლომიღება-ჩაბარების აქტი, რომლის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების და სამუშაოთა დასრულების აქტი.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ და შემსყიდველის მიერ შეთანხმებულ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალში (ფორმა №2) მითითებული შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება განსხვავდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ღირებულებისაგან, ანგარიშსწორება განხორციელდება უმცირესი ფასის თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. დროულად და ხარისხიანად განახორციელოს სამუშაოების შესრულება.

7.1.2. დაემორჩილოს კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ყველა კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყოს თავისი საქმიანობის განხორციელებისას და შეუქმნას ჯგუფს ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის.

7.1.3. საკუთარი ხარჯებით, „შემსყიდველის“ მიერ (ან მხარეთა შეთანხმების აქტით) დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.1.4. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას სამუშაოების შესასრულებლად გამოსაყენებელი მასალის ნიმუში, აღნიშნული მასალის გამოსაყენებლად თანხმობის მიღების მიზნით.

7.1.5. სამუშაოების შესრულების პერიოდში საჭირო კომუნალური მომსახურების (წყალი, ელ. ნერგია და სხვა) საფასური დაფაროს საკუთარი ხარჯებით.

7.1.6. შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7.1.7. მოამზადოს სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი ადგილი შესაბამისი წესით და უზრუნველყოს გარემოს დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები „მიმწოდებლის“ მიერ ამისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე და სამუშაოთა დასრულების შემდეგ უზრუნველყოს გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენა;

ბ) პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით, ვალდებულია

უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

გ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

დ) სამუშაოების დასრულების შემდეგ, საბოლოო ცდების პროცედურების დასრულებამდე, საკუთარი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი (მიმწოდებლის ტერიტორია) სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ. 7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.2.2 მიიღოს აღნიშნული სამუშაო თუ მიმწოდებლი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს შეასრულებს დადგენილ ვადაზე ადრე.

7.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

8. მხარეთა უფლება

8.1 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი; 8.2.2. განაცხადოს უარი მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო	შპს „ლ.მ.ც გრუპი“
----------	----------
ლაშა მოისწრაფიშვილი	მაკა სტეფნიაშვილი
სააგენტოს თავმჯდომარე	**დირექტორი**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 10 ნოემბრის №203 ხელშეკრულების დანართი №1 სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს"-ს ცენტრალურ აპარატში საკანალიზაციო სამუშაოების ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა.

№	საფუძველი	ს ა მ უ შ ა ო ს დასახელება	ნორმატივები			ხელფასი		მასალა		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი
			განზ.	ერთ	სულ	ერთ ფასი	სულ	ერთ ფასი	სულ	ერთ ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	17-4-1.	არსებული უნიტაზის „კომპლექტი" დემონტაჟი	ც		1,00							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	2,440	2,44	6	14,64					14,64
		მანქანები	ლარ	0,1300	0,13					3,2	0,42	0,42
		სხვა მასალები	ლარ	0,94	0,94			3,20	3,01			3,01
2	ს.ნ.და წ.1991წ. 46-47-1.	მოჭიქული ფილის (კაფელი) მონტაჟი	მ2		1,00							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	4,3293	4,33	4,6	19,91					19,91
3	ს.ნ.დაწ.1991წ. 46-38-4.	თაბაშირ-მუყაოს ფილის დემონტაჟი	მ2		1,000							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	0,940	0,940	4,6	4,324					4,32
		მანქანები	ლარ	0,07	0,07					3,2	0,21	0,21
4	საბაზრო	ნაგვის ჩატვირთვა ტომარებში ჩამოტანა და გატანა	ლარ									25,00
5	10-55-2.	თაბაშირ-მუყაოს ფილის მონტაჟი	მ2		1,00							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	1,60	1,60	6,00	9,6					10
		მანქანები	ლარ	0,0447	0,04					3,2	0,14	0,14
	სრფ.თ10.1. პ.5.	თაბაშირ=მუყაოს ფილა	მ2	1,03	1,03			4,9	5,0			5,05
		სხვა მასალები	ლარ	0,203	0,203			3,2	0,65			0,65
6	16-6-2.	საკანალისაციო მილის ფ-100მმ. მონტაჟი	გ.მ.		1,00							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	0,583	0,583	6	3,50					3,50
		მანქანები	ლარ	0,0946	0,095					3,2	0,30	0,30
	სრფ. თ2. პ.108.	მილი პლასტმასის ფ-100მმ.	გ.მ.	1	1,000			8,76	8,76			8,76
	სრფ. თ.1.8. პ-56.	სამაგრი ნაწილები	კბ	0,235	0,235			2,6	0,61			0,61
		სხვა მასალები	ლარ	0,208	0,208			3,2	0,7			0,67
7	16-12-2.გამ.	კანალუისაციის ფასონური ნაწილების მონტაჟი	ც		7							
		შრომითი დანახარჯები	კ/სთ	2,67	18,7	6	112,14					112,14
		მანქანები	ლარ	0,29	2,0					3,2	6,496	6,50
	სრფ.თ.6. პ-1133.	ფ-100მმ-იანი მცოცავი მუფთა	ც	პროექტ	1,0			12,7	12,7			12,70
	სრფ. თ.6. პ-862.	სამკაპი ფ-100მმ პირდაპირი	ც	პროექტ	2,0			4,56	9,1			9,12
	სრფ. თ6. პ-580.	მუხლი ფ-100მმ. 135*	ც	პროექტ	1,0			2,90	2,9			2,90
	სრფ.თ6. პ-464.	გადამყვანი 100X50 (ბუტილკა)	ც	პროექტ	1,000			2,2	2,20			2,20
	სრფ თ 6. პ-587.	მუხლი ფ-50მმ 90*	ც	პროექტ	1,000			0,73	0,73			0,73
	სრფ. თ6. პ-577.	მუხლი ფ-50მმ. 135*.	ც	პროექტ	1,000			0,73	0,73			0,73
		მუხლი „გარმოშკა"	ც	პროექტ	1,000			10	10,00			10,00
	სრფ. თ.1.8. პ-56.	სამაგრი ღუტალები	კბ	2	14,000			2,8	39,20			39,20
		სხვა მასალები	ლარ	0,2	1,400			3,2	4,48			4,48
8	15-14-1.	მოჭიქული ფილის მონტაჟი	მ2		1,000							
	საბაზრო	შრომითი დანახარჯები	ც	1	1,000	15	15,0					15,00
		მანქანები	ლარ	0,02	0,020					3,2	0,06	0,06
	სრფ. თ4.3. პ-12.	ფილა	მ2	1,02	1,020			14	14,28			14,28
	სრფ. თ4.2. პ-21.	წებო-ცემენტი	კბ	8	8,000			2,5	20,00			20,00
		სხვა მასალები	ლარ	0,007	0,007			3,20	0,02			0,02
9	17-4-1.	უნიტაზის(კომპლექტი)-ში მონტაჟი	ც		1,000							
	საბაზრო	შრომითი დანახარჯები	ც	1	1,000	45,00	45,00					45,00
		მანქანები	ლარ	0,13	0,130					3,20	0,42	0,42
	სრფ. თ6. პ-17.	უნიტაზი(კომპლექტი)	ც	1	1			80	80			80,00
		სხვა მასალები	ლარ	0,940	0,940			3,2	3,0			3,01
10	საბაზრო	მასალების ტრანსპორტირება	ლარ									25,00
		ჯამი										500,28
		ზედნადები ხარჯები	12%									60,03
		ჯამი										560,31
		გეგმიური დაგროვება	8%									44,82
		ჯამი										605,14
		უკან დასაბრუნებელი თანხა										99,33
		ჯამი										505,81
		დღგ	18%									91,05
		ჯამი										596,85

„შემსყიდველი"
ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"

ლაშა მოისწრაფიშვილი
თავმჯდომარე

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს "ლ.ბ.გ. გრუპი"

მაკა სტეფნიაშვილი
დირექტორი